ოქმი N 8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 26 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქამანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. გოჩა სიჭინავა
8. შადიმან ჭილაია
9. კონსტანტინე ნასარაია
10. მერაბ ნადარაია
11. კახა ლატარია
12. დავით ცინაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 25 სექტემბრის N05/4027 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყრება დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 25 სექტემბრის N05/4027 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შპს „მაგთიკომიდან" შევიდა წერილი ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულების საზღვრებში არსებული გარე განათების ბოძებზე მაგთიკომის ინტერნეტისა და ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, მიეცეს მერს თანხმობა ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, შპს „მაგთიკომისთვის" ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 615 ბოძის გადაცემის თაობაზე, წლიური საიჯარო ქირა აუდიტის დასკვნის საფუძველზე განისაზღვროს 1230 (ათას ორას ოცდაათი) ლარის ოდენობით, რაც თითოეულ ბოძზე საშუალოდ შეადგენს 2 (ორი) ლარს.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა. აღინიშნა, რომ განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -12, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ვ. ქანთარია ვლადიმერ ქანთარია